გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარსევანოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890



გაზეთი „ივერია" პირველის ენკენისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. და 75 კაპ.

ОТЪ КОНТОРЫ РЕДАКЦІИ

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

ცეცხლის ზიანის მზღვეველ საზოგადოების „ЯКОРЬ"-ის აგენტი ქუთაისში

ილია მირიანის-ძე ჭყონია

იღებს საზღვევად ყველგან ქუთაისის გუბერნიაში და სოხუმის ოლქში შენობებს, მოძრავს ქონებას და ზღვით ანუ ხმელეთით გასაგზავნს საქონელს. ადრესი: ქუთაისი, ი. მ. ჭყონია. (3—3)

მოსამზადებელი კლასები

ლ. თ. ნასიძისა

კუკია, ანდრიას ქუჩა, № 21. (5—1)

სასწავლებელი

ს. ბ. ჯღონჯღავასა

(ქუთაისში)

უეგზამენოდ ყმაწვილებს მიიღებს 15 სექტემბრამდე. (10—5)


ტფილისი, 3 ენკენისთვე

საციციანოს მთა იწვის!.. გამაღლებული სტიქიონი საბოლოოდ ანადგურებს ამ უკვდავება ტყეს!.. სურა-ქარელისა და გომის რკინის გზის სადგურებიდან საღამოობით მოსჩანს გამძვინვარებული ცეცხლის ალი, რომელიც გველეშაპივით მოსდებია უზარ-მაზარ ტყიანს მთას და მაღლა ცასა სწვდება. გამწარებული, აღელვებული ამ გულ-ჭამათუთქავის სურათით ჩვენი ქარელელი კორესპონდენტი გვწერს, რომ მილიონად ღირებული ქონება იწვის და იბუგება, რომ მასთან ერთად ციციაანთ ეცლებათ ხელიდან სახსარი ცხოვრებისა და მზრუნველი და პატრონი-კი არავინა სჩანსო.

უზრუნველობა და დაუდევრობა არ ახალია, ძველია—ეს-და შეგვიძლიან ვთქვათ კორესპონდენტთან ერთად. საპატიო ღირსება თავ-გამოდებისა და მხნეობისა, დიდი ხანია, რაც ქართველებმა ვიღაცა უცნობ მაცდურს დავუთმეთ და პირ დაღებულები ან ზეცას შევსცქერივართ, აცა როდის იქნება გადმოგვიყაროს რამეო, ან კიდევ მთავრობის მოხელეებს ვედით, აბა როდის ინებებენ ჩვენს შველა-დახმარებასაო. სირცხვილი და სივაგლახია, სხვა რომ არა იყვეს-რა, რომ ასე მოგვდუნებია სული და ხორცი, ასე დაგვიკრეფია გულ-ხელი და ჩვენით გაკეთება აღარაფრისა არ გვეხერხება:

განა ციციაანი, რიგიანად რომ ესმოდეთ თავისი ფასდაუდებელი ქონების ღირსება, ასე ხელ-გამოუღებლივ დაუწყებდნენ ყურებას თავიანთ საუნჯის განადგურებას? არა გვგონია. ციციაანი ას კომლამდინ არიან; ყოველ ოჯახში ორთა-შუა რიცხვით სამზე ნაკლები ვაჟკაცი არ იქნება; თითო ოჯახს უკანასკნელი ორი სამი მოჯამაგირე ეყოლება; მაშასადამე ციციაანთ შეეძლოთ, გაჩნდა თუ არა ცეცხლი—სულ ერთია, რა მიზეზისაგანაც უნდა გაჩენილიყო—ხუთას ექვსასი კაცი მიეყვანათ ბარ-ნიჩბებით და მაშინვე შესდგომოდნენ ცეცხლის გაქრობას. ხუთას-ექვსასი კაცი მთელი ჯარია და მერე რა ჯარი, ყოველი ჯარის კაცი, გამწარებული, რომ უკანასკნელი ლუკმა ხელიდან არ გამომეცალოსო, თავს არ დაზოგავდა და ან მტერს მოიგერებდა, ან თავს შეაკლავდა. ამ აზრით გატაცებულს ჯარს, ცეცხლი კი არა, ჯოჯოხეთის ყველა ძალნიც წინ ვერ აღუდგებოდნენ.

ყოველ ამის მაგიერ ციციშვილები გულ-დამშვიდებულნი დამსხდარან შინ არხეინად და თავს არაფრით არ იტკივებენ, თუ არ ქეიფითა და ლხინით. ქეიფსა და ლხინში-კი, მოგეხსენებათ, ქართველს კაცს, არა გვგონია აჯობოს ვინმე ქვეყანაზე.

კანონი ვალად სდებს ყველას, ვინც თორმეტის ვერსის მანძილზე სცხოვრებს იმ ადგილიდან, საცა-კი ცეცხლი გაჩნდება, გაისარჯოს და ხელი წაახმაროს ცეცხლის მქრობლებს. ეს ყველა კარგი, მაგრამ რა გულით წავა საციციანოს მთაში ცეცხლის გასაქრობად აი თუნდ დვანელი ანუ დირბელი და საქამნელი კაცი, მერე იმისთანა დროს, როცა საზამთროდ სარჩოს შოვნისთვის წელებზე ფეხს იდგამს. იმისი რა იწვის, რა ენაღვლება, თუ გადიბუგება ვიღაც ციციაანთ ტყე, რომლითაც თავის დღეში არ ისარგებლებს და თუ ისარგებლა როდისმე, უფასოდ ერთ სახრესაც არ მოაჭრევინებენ. მართალია, შეიძლება ამაზე სთქვან, რომ როცა დვანში გაჩნდება ცეცხლი, მაშინ ქარელელები დაეხმარებიანო, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ამისთანა განყენებული მოსაზრება აგრე ადვილად არ მოუვა ფიქრად განუვითარებელს კაცს და მაშასადამე მთავრობამ უსათუოდ ძალა უნდა იხმაროს, რომ დვანელი კაცი გაიყვანოს ცეცხლის გასაქრობად. ამასობაში დრო და ჟამი გადის და ცეცხლი-კი თავისას არ იშლის, თანდათან ძლიერდება. განა ციციშვილები ამას ელოდნენ, რომ მთავრობა მოგვაშველებს ხალხსა და ჩვენ რაღაზე შევწუხდეთო. ეს ხომ საკუთარის ინტერესების გაუგებრობაა და სხვა არაფერი! ვგონებთ ეხლა ადვილად დარწმუნდნენ ციციშვილები, რომ სხვის ხელში ყურება დიდ ხეირს არ მოუტანს.

შედეგი იმ უბედურებისა, რაც ციციაანთ ეწვიათ მთის გადაბუგვით, ისეთი დიდი და მრავალ-გვარი იქნება, რომ მისი აღნუსხვა ეხლა ყოვლად შეუძლებელია. ყველაზედ უპირველესად ამას მოჰყვება ქონებრივის სახსრის შესუსტება და გაღატაკება. ამის შემდეგ, რასაკვირველია, ეხლანდელი ძვირი სწავლა-განათლება, რომელიც აქამდისინაც არ ჰყვავოდა გორის მაზრის კეთილ-შობილთა წოდებაში, სულ ველარ მოიკიდებს ფეხსა. აი რა საზარელი შედეგი მოჰყვე-

# ფელეტონი

დღიური ბიძია თომასი

(დასასრული *)

— ქონება შევიძინე, მაგრამ სხვა ნაირად, უფრო ადვილად.

— ჰო, მამისა თუ დაგრჩათ და იმითი გაიკეთეთ საქმე.

— ჰმ! მამისა?! არა, მე მასწავლებელი ვარ, დადგება თუ არა მაისი, ან აპრილი მიიწურება თუ არა, მე ავარჩევ ხოლმე შეგირდებში ისეთებს, რომელთაც უფრო შეძლებული მშობლები ჰყავთ; თუ არა ჰყავთ, არც მაგას დაგიდევთ,—და თითქმის ოცს-ოც-და-ათს ჩემს საგანში „პერეეგზემენოვკას" დავუნიშნავ...

— ე. ი. მეორედ გამოცდას დაუნიშნავთ?

— მეორედ გამოცდა რასა ჰქვიან?..

— აი თქვენს „პერეეგზამენოვკას"...

— აგრე იყოს, მაგრამ ჩვენში ეს ტერმინია მიღებული.

— მე ამითი იმის თქმა მსურს, ბატონო, რომ ეგ სიტყვა შეიძლება ქართულადაც ითქვას და იგივე აზრი გამოიხატოს...

— დიაღ, დავუნიშნავ; თითო „პერეეგზამენოვკა" ოც-და-ხუთიდამ ხუთ თუმნამდეა; მომცემს—გადავუსწორებ ნიშნებ, არ მომცემს—დავარჩენ... ჯერ ხუთის მანეთიდგან შევყე...

— ჰო, ჯერ ნეკი გაგიშვერიათ ეშმაკისათვის.

— როგორ ეშმაკისათვის?

— ფული იგივე ეშმაკია იმ კაცის ხელში, რომელიც მხოლოდ ფულის შოვნას დაეძებს და სხვას არა-რას...

— რაც გინდათ, სთქვით... შემდეგ... მე მსურს დაგანახვოთ, რა გზით შევიძინე ქონება... შემდეგ ერთი თუმანი გავხადე თითო „დვოიკა". ერთს-ორს წელიწადს ამ ფასზე ვიტრიალე...

— ჰო, შემდეგ ხელი მიგიციათ იმავ ეშმაკისათვის და დამეგობრებიხართ...

— ჩვენი უფროსი სასტიკი კაცი გამოდგა, ეითომ პატიოსნებაზე თავსა სდებდა... ქართველისათვის ხომ ღმერთს ხერხი არ მიუცია.

— ქართველია?

— არა, იყო და ეხლანდელი-კი სხვაა... გაიგო თუ არა, რომ ჩვენ ასე ვიქცევით, სასტიკად აგვიკრძალა. ვეუბნევით: რა გრჯის, შენც ისარგებლე, ჩვენც გვასარგებლე. ცოტა შეიძინოთ-რამეო, ვეუბნეოდით.

— „ზურგს საწყლის გუდას ავიკიდებ, რკინის ჯოხს დავიჭერ, რკინის ქალამანს ჩავიცვამ, ყველგან ამ სახით ჩამოვითხოვ და შეგირდებს-კი ძარცვას არ დავუწყებო..

— ყოჩაღ კაცო, ნამდვილი ქართველი ყოფილა.

— ჰმ! შენც მოგწონს?! მოითმინეთ იმ „ნამდვილს ქართველს" რა ვუყავით... ერიჰაა! ვიფიქრეთ; ამას თუ ჩვენ ბოლო არ მოვუღეთ, გზას არ მოგვცემსო... ავდექით და „დანოსი" „დანოსზე" გავაკეთეთ და შენს „ნამდვილს ქართველს" ქათამივით თავი ფრთას ქვეშ ამოვუდეთ... ეხლა საქმე გაჩაღებულია: მთლად იმ საქმეს ვადგივარ.

— ე. ი. თავი სრულად დაგიმონავებია იმ ეშმაკისათვის, ის-და გიკლიათ, რომ დუქან-ბაზარიც გამართოთ შიგ სასწავლებლებში ძველებურად; ბევრით აღარაფრით გაირჩევა, ღმერთმანი, ეს ამბავი იმ საქციელისაგან, რასაც სჩადიოდნენ საშუალ საუკუნეებში პროფესორები; მხოლოდ ეხლანდელმა წესმა ფერი იცვალა. მაშინდელს მასწავლებელს გარემოება აიძულებდა, ცუდი საქმე ჩაედინა: იყო დრო, რომ თვით პროფესორები დიდის ხნობით უჯამაგიროდ იხსდნენ და სტუდენტების საძაგლობაში ერეოდნენ: ლოთობდნენ, და უმსგავსობდნენ; ჰქონდათ დუქნები და თვით აუდიტორიებში ჰყიდდნენ სასმელებს; მთელის წლობით ლექციებს არა ჰკითხულობდნენ; იეზუიტებისავით დროსა ჰკარგავდნენ რეპეტიციებზედ და უბრალო ყბედობაზედ: პროფესორი ფილოსოფიისა რამდენისამე წლობით კითხულობდა დანიელ წინასწარმეტყველის ამბავს და, ასე გასინჯეთ, ოც და-ხუთის წლობით წინასწარმეტყველ ისაიასას; ექიმი თურმე ლექსად აწყობდა ფსალმუნებს. წარმოიდგინეთ, სახელოვანი, სულითა და გულით განათლებული გალილეი ასე სწერდა კეპლერს: „ფლორენტიელ პროფესორებს არა ჰსურთ, შეიხედონ ჩემს ტელესკოპში; იმათის სიტყვით, ჭეშმარიტება ბუნებაში-კი არ არის, არამედ ტექსტების შედარებაში." ასეთის კაცების ხელში იყო ძველად სწავლა-განათლების საქმე. ეს საცოდავი არსებითი სახელი, რომელსაც სწავლა განათლებას ეძახიან, მოდის და მოიღვწის ეკლიანის გზით. უნდა გითხრათ, ბევრი კეთილი ნახა ამ საუკუნეში, მაგრამ თქვენს ხელში-კი, ბატონო კალისტრატე, მებრალება იგი სწავლა-განათლება; ე. ი. მებრალებიან მოსწავლეთა მშობელნი, რომელთაც ჯიბეს უცალიერებთ, და უფრორე მებრალებიან ნორჩნი არსებანი—თქვენი მოწაფენი, რომელიც თქვენს ხელში მოწამეებად გარდაქმნილან. ჯამაგირს აღარა სჯერდებით და წმინდა ტაძარი სავაჭრო სახლად გადაგიქცევიათ და სული ეშმაკისთვის მიგიყიდნიათ.

— ხა, ხა, ხა! რა ნაირ მაკვირვებს თქვენი ბაასი; როგორც გატყობთ, რაღაც-რაღაცები წაგიკითხავთ, მაგრამ-კი ვერ მოგიხმარებიათ, სისტემა არ მიგიციათ, მაშ ამდენი ხანი არ იცი, რომ კაცი სწავლას იძენს თავის თავის ასამაღლებლად, ცხოვრების სახსარის მოსაპოვებლად?

— ვინ მოგახსენებთ, ბატონო, მაგის წინააღმდეგ, მაგრამ მარტო მაგითი არ ამაღლდება კაცი კაცის თვალში, მარტო მაგითი არ ჰმატულობს კაცის ღირსება საზოგადოებაში. ხალხი წარმატების გზას მაშინ დაადგება, როდესაც თვითოეულს ადამიანს, როგორც წევრს ხალხისას, თავის თავს გარდა, გული ეწვის დანარჩენებისათვის, როდესაც თავის ჯიბიდგან რაიმე მცირედს ნაწილს, თუნდ იმდენს, რაც სახარების თქმით ქვრივმა დედაკაცმა უწილადა სხვა საქმეს, ახმარებს, სწირავს კეთილს საქმეს, რომელსაც ჩვენ „საზოგადო საქმეს" ვუწოდებთ. იქნება იფიქროთ, მარტო ჩემით რა იქნებაო; მარტო თქვენ ხომ არ შეადგენთ ხალხს; თქვენისთანა ბევრია და ამ ბევრმა ხელი-ხელს რომ მიეცეთ, მცირეც დიდად გამოჩნდება. შილლერს უთქვამს: „Въ союзѣ дружномъ слабые могучи"-ო (მეგობრულის კავშირით სუსტნიც გაძლიერდებიანო). თუ თქვენისთანა განათლებული კაცი საზოგადო საქმეს განზედ გაუდგება და ცხვირს ააცილებს, რაღა მოეთხოვოთ უმეცრებს, ან მცირედ განათლებულებსა.

— მწ! არა, ჩემო ბატონო, მე მაგ აზრს არ ვადგევარ; ჩემის ცხოვრების პროგრამაში ეგენი არ ჩამიწერია და ვერც ჩავწერ... მე სულ სხვა ვარსკვლავი მიბრწყინავს, რომელიც ჩემს მო-

*) იხ. „ივერია" № 187.

ბა უზრუნველობას, დაუდევრობას! ეს შედეგია სიღარიბე, სიღატაკე უსწავლელობა უმეცრება. ამ ნაირად სიცოცხლე ხომ სიცოცხლედაც აღარ ჩაითვლება.

წინად ქართველი ერი იყო განთქმული ქველობით, მამაცობით და ვაჟკაცობით. თავის სამშობლოს ერთ მუჭა მიწასაც არავის დაუთმობ უბრძოლველად. ქველობის ამბებს ეხლა წიგნებში თუ წაიკითხავთ, თორემ ცხოვრებაში ძვირად-და შეხვდებით. მტერს, სულ ერთია, ხმლით მოდის, თუ ცეცხლი მოაქვს ამოსაწველად, პასუხის გაცემა უნდა. მტრის შემოსევის დროს უწინ ქუდზე კაცი გადიოდა ოჯახიდგან, ეხლა-კი, როდესაც გამძაგებული სტიქიონი მოდის და ჩვენს ქონებას შთანთქმას უპირებს, გულ-ხელ დაკრეფილი ვზივართ და სეირს შევყურებთ, ან არა კიდევა და განუწყვეტელი ქეიფი გვგვიბავს. ციციაანთ ტყის გადაწვა მარტო ციციაანთ შესახები საქმე არ არის. იმათის ტყის გადაწვით, ქვეყანასაც დიდი ზარალი ეძლევა. ამიტომ არის გულ-სატკენი ეს ამბავი და ამიტომა ვსთქვით ჩვენც ეს ორიოდე სიტყვა. მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო და ჩვენს ქვეყანაზე უკეთესი და უძვირფასესი მოყვარე ვილა უნდა იყოს ჩვენთვის, რომ, თუ რაც საძრახველი შევნიშნეთ მის შვილს, გლეხ-კაცია თუ თავადიშვილი, პირში არ ვუძრახოთ ისევ იმისა და ქვეყნისავე საკეთილდღეოდ.

ა. ფრონელი

---

## ახალი ამბავი

*** 31 აგვისტოს, პარასკევს, ბ-ნმა ფინანსთა მინისტრმა დაათვალიერა ღვინის საწყობი ქარხანა-მარანი თ. ზ. ჯორჯაძისა, დარჩა კარგა ხანს და ყოველივე გარემოება საქმისა გამოიძია. სხვათა შორის ყურადღება მიაქცია ბოთლების სიძვირეს ტფილისში. 10 კაპ. ბოთლის ფასი ძვირია, ბრძანა მინისტრმა და ამ სიძვირის მიზეზის გამოკვლევა მიანდო ერთს თავის მოხელეს. მინისტრმა მადლობა გადუხადა თ. ზ. ჯორჯაძეს ამ კეთის დიდის საქმის წარმოებისათვის და შემდეგ დაათვალიერა მუშტაიდში დაარსებული აბრეშუმის წარმოების სადგური. იქიდამ მინისტრი წაბრძანდა დ. სარაჯოვის არაყის ქარხნის დასათვალიერებლად. კანტორა მორთული იყო მწვანითა და ყვავილებით, ხალიჩებითა და ფარჩით. მინისტრმა ყურადღებით დაათვალიერა ქარხანა სარაჯოვისა, რომელიც თან ყველაფერს უხსნიდა ბ-ნს მინისტრს. «ფრიად და ფრიად მასიამოვნა ყველაფერმა, რაც აქ, თქვენს ქარხანაში ვნახეო, ბრძანა მინისტრმა და გამოეთხოვა ქარხნის პატრონს. მეორე დღეს, პირველს სექტემბერს, დილით მინისტრმა ინახულა ყველანი, ვისაც იმასთან რაიმე საქმე ან სათხოვარი ჰქონდა, დაათვალიერა მუზეი, შემდეგ სიონში წაბრძანდა, მერე ნახა მირზოევისეული ფაბრიკა ჩითახოვისა და ბოლოს ადელხანოვის ტყავის ქარხანა. იქიდამ დაბრუნდა სასახლეში და წაბრძანდა სადილად ტფილისის საბრანის საზაფხულო სადგომში.

*** გუშინ, ამ თვის 3, ტფილისის გუბერნატორი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი გ. დ. შერვაშიძე ტფილისიდგან კავკავის გზაზე გაემგზავრა კავკავში გზათა მინისტრის სტატს სეკრეტარის ფონ გუბბენეტის მისაგებებლად. გზათა მინისტრი ფონ-გუბბენეტი ტფილისში ორს დღეს დარჩება და შემდეგ გაემგზავრება წიფაში, სადაც დაესწრება სურამის გვირაბის კურთხევას, რომელიც, როგორც ისმის, იქნება ამ თვის 15-ს.

*** შაბათს, ამ თვის 1-ს, ბ-ნ ფინანსთა მინისტრის ი. ა. ვიშნეგრადსკის ბაქოში გამგზავრების წინად, რკინის გზის სადგურზე ტფილისის ტეხნოლოგებმა ბ-ნ მინისტრს მიართვეს ალბომი, რომელშიაც ფოტოგრაფიული სურათები იყო კავკასიის მთებისა, საქართველოს სხვა-და სხვა ქალაქებისა, აქაურის მცხოვრებლებისა და სხვა-და სხვა... ამას გარდა ტეხნოლოგებმა მიართვეს პატარა კაკლის ხის ყუთი, რომელშიაც სხვა და-სხვა საშენ მასალის ნიმუშები ეწყო.

*** უმაღლესის ბრძანებით კამერგერს მის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარისას თ. გიორგი დიმიტრის ძეს შერვაშიძეს ებოძა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობა და დამტკიცებულ იქმნა აგვისტოს 30 ტფილისის გუბერნატორად.

*** ამ თვის 1-ს მცხეთიდგან საგანგებო მატარებლით ნაშუადღევის 4 საათზე ჩამობრძანდა ტფილისში სახელმწიფო კონტროლიორი დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკი ტერტი ივანეს ძე ფილიპოვი, მეორე დღეს დილით ბ-ნი ფილიპოვი სიონის ტაძარში ბრძანდებოდა, წირვა მოისმინა და შემდეგ დაათვალიერა სხვა-და-სხვა შესანიშნავი ძველი შესამოსლები, სამღვთო წერილის ძველი წიგნები, კათალიკოზ ანტონ მეორის ოქროს მიტრა, მეფეთა გულზე ჩამოსაკიდი ხატი და სხვა-და-სხვა... ტაძრიდამ ბ-ნი ფილიპოვი სასახლეში წაბრძანდა, სადაც ინახულა ზოგიერთი დიდ-კაცობა. მესამე დღეს დილით სასახლეში მიბრძანდა მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გორის ეპისკოპოზი ალექსანდრე, რომელსაც ნახევარ საათზე მეტს ხანს ემუსაიფა. ბ-ნმა ფილიპოვმა ინახულა კიდევ ჟანდარმების უფროსი გენერალ-მაიორი იანკოვსკი, საფოსტო და სატელეგრაფო ოლქის უფროსი ბ-ნი ბოგუცკი და სხვანი. ნაშუადღევის პირველ საათზე სახელმწიფო კონტროლიორმა დაათვალიერა საკონტროლო პალატა.

*** კვირას, 2 სექტემბერს, ტფილისის საოპერო თეატრში წარმოდგენილი იყო „Русалка“, ოპერა დარგომიჟსკისა. მონაწილეობას იღებენ სხვათა შორის ქქ. დე მორელისა, პაპოვისა და ბბ-ნნი: კოშიცი და გორდი. დე-მორელის ქალი ვერაფერი რუსულკა იყო და ხმაც ძალიან სუსტი აქვს. სასიამოვნო ბასი აქვს გორდის, რომელიც მეწისქვილეს სამღერალ: ა მღეროდა. არა უშავდა-რა კოშიცსაც, დრამატიულს ტენორს.

*** გურიიდამ მღვდელ იოანე წულაძისაგან განსვენებულის დ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ მოგვივიდა კიდევ 11 მან. 40 კაპ. იყო დღემდე 956 მან. 32 კაპ. ამიანათ შეადგა სულ 967 მან. 72 კაპ.

*** მცხეთა. რაღაც საკვირველი ხეალმყოფობა გაჩნდა აქ: კაცს ჯერ სიცხეს მისცემს, შემდეგ თავი ასტკივდება და ბოლოს ფაღარათობა ემართება. კიდევ კარგი, რომ ადვილად რჩებიან და ამ სენს ზარალით ჯერ არავინ დაუზარალებია.

*** ერწო. ერწოში, სოფ. საყდრიონს, ამას წინად ორი ჯან-საღი კაცი (ერთის გვარი წიკლაურია) ერთს დღეს გარდაიცვალნენ. მიზეზი მათის სიკვდილისა ვერავინ შენიშნა დაბეჯითებით. ხალხი ამბობს, რომ „ხატის წყალი“ დაულევიათ და იმან დაპხოცაო.

*** ოზურგეთი: ამ ჟამად აქ დიდი სიცხეებია. თვეზე მეტია თითქმის წვეთი არ ჩამოვარდნილა ციდამ. ამის გამო ცუდს მოსავალს ელიან «იზაბელასი» და სიმინდისას.

*** იქიდამვე: თ. გრ. გურიელის სახლში ჩვენ ვნახეთ სამი ძველი ხელნაწერი წიგნი. ერთია: «ეთიკა-თეოლოღია», ანუ სწავლანი სულიერნი სამღვთო მეცნიერებათნი მაქსიმე აღმსარებლისა, თარგმნილი წმ. მამისა ჩვენისა ეფთიმისა“. ხელნაწერში 127 ფურცელია; დაწერილია ლამაზის ნუსხურის ხელით იეროდიაკონის პორფირეს მიერ 1725 წელს. მეორეა: „წიგნი სიბრძნისა, ისო ზირაქისა“, ხუცურის ნუსხურით დაწერილი. მესამე უფრო შესანიშნავია და დიდის ხელოვნებითაც არის ნაწერი ხუცურად. შიგ ნახატებია ჩართული და ასო მთავრულები მშვენიერად დახატულები. გადაწერილია 1791 წელს. პატივცემული თავადი გრ. გურიელი დიდის გულ-მოდგინებით აგროვებს გურიაში ხელ-ნაწერებსა და საისტორიო ნივთებს და აპირობს შესწიროს „წერა-კითხვის საზოგადოებას“.

*** ხოვლე (გორის მაზრა): 23 აგვისტოს გამართეს აქ ქართული წარმოდგენა აქაურს სკოლაში კურსშესრულებულის, სახელდობრ, ვანო ხალთაშვილის სასარგებლოდ; ეს ყმაწვილი ეხლა უკვე ტფილისის საზაოსნო სკოლაში სწავლობს. ხარჯ გარდა წარმოდგენიდამ დარჩა 27 მან., რომელიც გარდაეცა აქაურის სკოლის მასწავლებელს. წარმოდგენილი იყო: „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ და ძალიან რიგიანადაც იყო წარმოდგენილი. მადლობის ღირსნი არიან თთ. კონსტანტინე და გიორგი ვეზირიშვილები, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ საქმეში.

*** 1 ამ თვისას, დილის 11 საათზე, ბულვარის ქუჩაზე მეორე გილდიის ვაჭრის კოტრინის ქარხნის ეზოში დაიწვა 1000 მ. ღირებული თივის ზვინი.

*** ამ თვის 2, პოლიციის მეექვსე ნაწილში, სპარსეთის ქვეშევრდომის მამად-ალი შახ რასულა-ოღლის ცოლი ყიზ-ხანუმა ნაზი ყიზის წაეჩხუბა თავის ქმარს და ხელში დანით მძიმედ დასჭრა. დაჭრილს შემწეობა აღმოუჩინეს.

*** ამავე დღეს ტფილისის მეორე გილდიის ვაჭარმა ივანე კრეტინინმა გამოაცხადა,

---

მაღალს შეადგენს და რომელსაც უნდა ვემსახურო.

— ძალიან სასურველია შევიტყო, რა არის ეგ თქვენი ვარსკვლავი?

— მე ეხლა სახლებს ვამთავრებ და... აქ ცოტა შეჩოჩმანდა.

— მერე? ჩავეკითხე მე.

— მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, კარგს მზითვიანს ქალს შევირთავ, ფულს-ფულს მივუმატებ და ვიქნები ჩემთვის მყუდროდ.

— მაინც მანამდე-კი რას საქმობთ მასწავლებლობის გარდა მეთქი, ჩავეკითხე, მაინც მინდოდა შემეტყო, მართალს ამბობს, თუ ნიღაბს იფარებს განგებისად-მეთქი.

— გაკვეთილეს შემდეგ ამხანაგები შევიყრებით რიგ-რიგისად ვისთანმე და შევექცევით „პრეფერანსსა“; პრეფერანსს შემდეგ „ზაკუსკა“; „ზაკუსკას“ შემდეგ კვალად ქაღალდი და მწვანე სტოლი.

— ეგ ხომ თქვენის ჯიბის საზარალოა; როგორც თქვენ ბძანებთ, ხომ მარტო თქვენის ჯიბისათვის ცხოვრობთ ამ ქვეყნად, და რომ წააგებთ, ხომ სხვის ჯიბეში გადადის.

— ჰმ, სულაც არა: ქაღალდის თამაში მე მასიამოვნებს და მართობს; რაც შეეხება წაგებ-მოგებას, უნდა გითხრა, რომ როგორც გადის ჯიბიდგან, ისეც ჩადის, და მე კი ისე იღბლიანად ვთამაშობ, რომ უფრო ვიგებ...

— ეგ ვერაფერი ნიშანია.

— რატომ?

— სიყვარულში იღბალი არ გექნება: ქალის გულს ვერ მოიგებ. მე ასე გამიგონია: ვისაც ქაღალდში იღბალი აქვს, სიყვარულში არ ექნებაო.

— ე-ე-ე ე, დაგიდევ, ოღონდ-კი ფული ფულს მივუმატო.

— ეგ არას მაშ თქვენი პირველი და უკანასკნელი სატრფიალო აზრი? ფული და მხოლოდ ფული. მაშ სხვა არა გაღელვებს-რა? ისტორია არ გისწავლიათ?

— ხა, ხა, ხა! არ მისწავლია, არ მისწავლია?! რამდენჯერმე გაიმეორა თითქმის გაოცებით: როგორ არ მისწავლია, მისწავლია.

— ბიჭო და, მაშ რა დაგმართნია, თუ ჩაგიხედნია მთელის ამოდენა კაცობრიობის ცხოვრების სარკეში, რომელსაც ჩვენ ისტორიას ვეძახით, დავიჯერო, მაგ მიმართულებაზედ კარგი ვერა ნახე-რა, დავიჯერო, სულ იმის მაგალითებს ჰხდავდი, რომ ჯიბე ჰზარდო და შენს ცხვირს იქით არა დაინახო რა! არ იცი, რას ამბობს ჩვენი პოეტი?

„მმანო, თვალნი გარდავავლოთ
წარსულთა ძველთა საუკუნეთა,
მათში სახენი სჩანან ნათელნი
გმირთა, მამულის განმადიდეთა“.

— მაგას რომელ ხალხის ისტორიაზედ ბრძანებთ.

— ჩვენისა... რაო, რა გაოცებით მიყურებთ? თუ ისტორიის მკოდნე ხარ, ისიც უნდა იცოდე, რომ რაც ჩვენს ხალხს მსხვერპლი შეუწირნია მამულისკეთილ-დღეობისა, თავისის თავისუფლებისა და სარწმუნოებისათვის, არა მგონია, თუ სხვა ხალხს შეეწიროს იმოდენი. არ იცი, რომ

„ჩვენი ივერი მშვენიერი
არს სისხლის გალი,
გმირთა აკლდამი
გულ-საკლავი და სავალალო!

არ იცი, რომ ჩვენთა წინაპართა ეს სიტყვები ეწერათ გულის ფიცარზედ?

„გვცნი ვართ! თავისუფლება
ოღონდაც რომ ღირს ბრძოლადა:
ვინც მტერსა ზურგი უჩვენოს,
დედა შეერთოს ცოლადა.
ამ დღისთვის გვზრდიდნენ დედანი,
მისთვის გვიმღერდნენ ნანასა,
რომ დავუხმაროთ ვაჟ-კაცებრ
ჭირის დროს ღვიძლს ქვეყანას;
ცეცხლებ მოვკრტუდეთ მტრის დასთა,
ვითა მუშაკნი ყანასა;
ვრაცხდეთ საქრო ნადიმად
მტერთ სისხლში ხელის ბანასა“.

— ვაი შენ ჩემო თავო! მოგიცლია, რომ მაგას ელაპარაკები? ჩამამძახა კისერში ჩემმა მეგობარმა ივანემ, რომელიც ჩემის ლაპარაკის დროს შემოსულიყო და ზურგით უკან მომდგომიყო. განა არა, თვით კალისტრატეც წამოდგა და თითქო ეილაცას სალამი მისცა. რის საზოგადო საქმე, რის ისტორია, რის ფლავი რის ბოზბაში. რაზედ იხარჯები და იჭაჭები ტყუილად ლაპარაკით?

— რას ამბობ, ივანე, მე როგორც განათლებულს კაცს, ისე დაუწყე ლაპარაკი და მინდა შევიტყო, რა აზრისა და მიმართულებას ადგია, მინდა შევიტყო, არ უღელვებს გულს ჩვენი წარსული და აწმყო ცხოვრება?

— ვაიმე, ვაიმე! მაგის აზრი და მიმართულება ერთის სიტყვით გამოითქმის და ეს სიტყვაა: „მე“, ე. ი. ქვეყანაზედ მხოლოდ ჩემის „მე“-სათვის უნდა ვიცხოვრო და „მე“-ს გარეშე სხვა ყველაფერი ფეხებზედ მკიდიაო, მწვანე სტოლს გარდა, რომლის დანახვა მას ისე ააჟრჟოლებს და ისე გაახარებს ხოლმე, როგორც შენ სიკეთე შენის ქვეყნისა. ბ-ნი კალისტრატე ბევრით მაღლა სდგას სხვებზედ: ეს მაინც არა ჰმალავს თავის აზრსა და მიმართულებას; პირდაპირ გეუბნება, რაც არის, რასაც ელტვის და ეტრფიალება თავის ცხოვრებაში. არიან ისეთები, რომლებსაც ვერც თავს გაუგებ და ვერც ბოლოს. მოგყვებიან შენს აზრს და ბოლოს გიღალატებენ, კალისტრატეებს ღალატი არ შეუძლიანთ; როცა მხარში არ ამოგიდგება, რას გიღალატებს; მაგრამ საშიშნი სხვები არიან: მაღლა ჰკვეირიან კეთილისას, მაგრამ გული ბოროტებითა აქვთ გაჭიკნილი; როცა საქმეზედ მიდგებიან, ასეთს ტყუპს წიხლს დაგაზელენ; რომ დიდ ხანს გონს ვერ მოხვიდე. აი ეს ჩვენი ქალაქი სავსეა ახალგაზდებით, რომელთაც უმაღლესი სწავლა მიუღიათ, თითქმის ას კაცამდეა უმაღლეს სწავლა მიღებულნი, მაგრამ ამ ას კაცში ორს ვერ იპოვნი ხელ-მოსაჭიდს, ორს ვერ იპოვნი ისეთს კაცს, რომ რაიმე საზოგადო იდეალი ჰქონდეს და მას ეტრფოდეს, მისთვის მაჯა უცემდეს და გული ერჯოდეს. საკუთარი ჯიბე, საკუთარი „მე“ და მწვანე სტოლი; მწვანე სტოლი და საკუთარი „მე“ აი მაგათი სატრფიალო.

— ვითომ?

— ვითომ-კი არა, მართლა. კალისტრატე თავით თვისით დაგიმტკიცებდა. დანარჩენებს მე გაგაცნობ და დაგარწმუნებთ, რომ არა ვსტყუვი.

ჩემის მეგობრის ივანეს სიტყვებმა სწორედ წელი მამწყვიტა, ისე მეწყინა; გულზედ სწორედ ლოდივით დამაწვა; ივანეს სიტყვები ბევრში მართალი გამოდგა, ცხოვრებაში ტრიალმა დამარწმუნა, რომ ჩვენი განათლებული ახალგაზდობა ძალიან უკუღმართს გზას დასდგომია. ჩვენს ყოფაში ცანატრელია, რომ საქმე ასე არ იყოს, მაგრამ სამწუხაროდ, ყველას ეშმაკისათვის გაუშვერია ხელი სამეგობროდ.

კაია

რომ ამ თვის ორს, ღამით, მალაკნის ქუჩაზე დუქანი გამიტეხეს და მომპარეს სამი ფავი შაქარი, 10 მანეთის ჩაი და ფულად ერთი თუმანიო.

## ჯუჯა და ქონდრის კაცების წარმოდგენა

გუშინ-წინ, 2 სექტემბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში პირველი წარმოდგენა გაჰმართეს მალოროსიელმა ჯუჯა და ქონდრის კაცებმა. მთელი დასი სულ ოთხის ადამიანისაგან შესდგება, და-ძმებისაგან: თეოფანი მომღერალი და ლექსების მკითხველია, 23 წლისა და სიმაღლით 22 გოჯია; ნეონილა მომღერალი და მოცეკვავე ქალია, 20 წლისა, სიმაღლით 24 გოჯია; მარიამი—მომღერალი სახალხო ლექსებისა და მოცეკვავე, 18 წლისა, 19 გოჯის სიმაღლისა; მიხეილი—კომიკოსი, დუეტისტი და მოცეკვავე, 16 წლისა, 18 გოჯის სიმაღლისა. ოთხივენი გვარად კოსტეცკები არიან. წარმოადგინეს ერთ-მოქმედებიანი ხუმრობა ვოდევილი «ნადირი მონადირეს წინ ეხეჩებოდაო» და დივერტისმენტი მცირე ბალეტითურთ.

აიხადა ფარდა და სცენაზედ გამოვიდა პაწია. კაცუნა, ერთის ციდამტკაველას ოდენა, ისეთი ნამცეცა, რომ უფრო ბავშვს ჰგავდა. ამას მოჰყვა მეორე, მესამე და მეოთხეც. ვოდევილმა ცხოვლად ჩაიარა, კარგის ანსამბლით, ამ პაწია არტისტებმა ბევრს დიდრონ არტისტზედ უკეთ იცოდნენ თავ-თავისი სათამაშო. ვოდევილს მოჰყვა დივერტისმენტი—მალოროსიული საერო ლექსები. არტისტები მღერიან და ლაპარაკობენ კარგა გარკვევით, თუმცა-კი კილო ლაპარაკისა უფრო ბავშვური აქვთ, ჩქარი, სწრაფი, ასე რომ შორიდგან ადამიანი ზოგიერთს მათს ნათქვამს კარგად ვერ არჩევს.

ამითი დასრულდა მეორე განყოფილება და დაიწყო მესამე, განყოფილება ცეკვა-როკვისა, ბალეტისა. იცეკვეს „მაზურკა“ ოპერიდგან „Жизнь за Царя“, საერო სათამაშო „ვენგერკა“ და „ვენგრიული პოლკა“ ოპერა „ლამურადკან“. საზოგადოება ალტაცებაში მოვიდა და ტაშის კვრასა და ვაშას ძახილს დასასრული არა ჰქონდა. პაწია არტისტები თავის პაწაწა ფეხებით ჩვენის ოპერის მოცეკვავეებზედ ნაკლებ არა სცეკვავენ. საზოგადოება იმდენად გაოცებული იყო მათის მოფიქრებულის თამაშობით და სიპატარავით, რომ ზოგნი ამბობდნენ კიდეც, ეგენი ბავშვები არიან, კარგად გაწვრთნილნი და ნასწავლნი და არა ჯუჯა და ქონდრის კაცებიო. ზოგიერთს ამ აზრის დასამტკიცებლად ის საბუთიც-კი მოჰყავდა, რომ თმა რატომ არ ამოსვლიათ სახეზეო?

განსაკუთრებით მოსაწონნი არიან ერთი და-ძმანი, მიხეილი, 18-გოჯიანი, და მარიამი, 19-გოჯიანი. ორივეს დიდი ნიჭი ეტყობათ სცენისა, დიდი ცოდნა, დიდი უნარი. მიხეილი ისე ლამაზადა და ხელოვნად სცეკვავს, მაგალითებრ, ტრეპაკას, რომ სწორედ სასიამოვნო საყურებელია.

თეატრში საკმაო ხალხი დაესწრო, თითქმის სავსე იყო და საზოგადოება ნასიამოვნებიც დაიშალა. მეორე წარმოდგენა ამ ჯუჯა და ქონდრის კაცებისა დღეისთვის არის დანიშნული.

მანოელიძე

## ფინანსთა მინისტრის პატივსაცემლად გამართული სადილი

პირველს სექტემბერს ტფილისის სობრანიის სათავადაზნაურო სადგომში ტფილისის ვაჭრებმა და მრეწველებმა სადილი გაჰმართეს ფინანსთა მინისტრის, დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკის ივანე ალექსის ძის ვიშნეგრადსკის პატივსაცემლად. სადილი 6 საათისათვის იყო დანიშნული და ამ დროსათვის მთელი ბაღი ტურფად იყო მორთული ყვავილებითა და ცხელის ქვეყნის მცენარეებით. მოწვეული იყვნენ ტფილისის გუბერნატორი თ. შერვაშიძე, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ. ი. გ. მუხრან-ბატონი, გენერალ-ლეიტენანტი ერნსტი და სხვანი წარჩინებულნი და აგრეთვე ტფილისის გაზეთების წარმომადგენელნი. სწორედ ექვსს საათზედ მობრძანდა მინისტრი და თან მოჰყვნენ რკინის გზათა დეპარტამენტის დირექტორი ს. ი. ვიტტე, ტაინი სოვეტნიკი ერმოლოვი, მინისტრის შვილი და დისწული. სუფრა კლუბის საცეკვაო დარბაზში იყო გაშლილი. აგერ სტუმრები მოუსხდნენ სუფრას, შუა ადგილი დაიჭირა უპატივცემულესმა სტუმარმა, იმის მარჯვნივ დასხდნენ ტფილისის გუბერნატორი თ. შერვაშიძე, ბ. ი. სტატკოვსკი და ნ. პ. სმიტტენი; მარცხნივ—ქალაქის თავის მოადგილე პ. ა. იზმაილოვი, თ მუხრან-ბატონი, ს. ი. ვიტტე, გენ.-ლეიტ. ერნსტი და კ. პ. იანოვსკი. ამას იქით დანარჩენნი იქ მყოფნი მოთავსდნენ, სულ ას ოცამდე იყო დამსწრე.

უწინარეს ყოვლისა მინისტრმა ხელმწიფე იმპერატორი ადღეგრძელა და ამას მოჰყვა გუნდის ხოროს მიერ დაკრული „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა“. ამ სადღეგრძელოს შემდეგ პ. ა. იზმაილოვმა დალია მინისტრის სადღეგრძელო და წარმოსთქვა საკმაოდ ვრცელი სიტყვა, რომელიც უადგილობის გამო, სამწუხაროდ, ვერ მოგვყავს. მინისტრის სადღეგრძელოს ყველა იქ მყოფნი ხმამაღლის ვაშათი მიეგებნენ და ფეხზედ მდგომთ „მრავალ-ჟამიერი“ იმღერეს. ამას შემდეგ წამოდგა თვით ივანე ალექსის ძე და დაახლოვებით შემდეგი ბრძანა:

„მოწყალეო ხელმწიფენო! არ ვიცი როგორ გადაგიხადოთ მადლობა ასეთის გულ-უხვის დახვედრისა და მასპინძლობისათვის, როგორც დამიხვდნენ ტფილისის წარმომადგენელნი, ვაჭარნი და მრეწველნი. ქალაქის თავის მოადგილემ ესლა აღნიშნა, რა ადგილი უჭირავს კავკასიას რუსეთის აღმოსავლეთთან დასაახლოვებლად, იმ აღმოსავლეთთან, სადაც რუსეთი ბაზარს ეძებს თავის ნაწარმოების გასატანად. ეს გარემოება დიდი ხანია მხედველობაში აქვს უმაღლესს მთავრობას და უკვე განხილვაშიაც არის, თუ როგორ დაუახლოვოს რუსეთს აღმოსავლეთი ამიერ-კავკასიის შემწეობით. ამავე საგნისათვის ხელმწიფე იმპერატორიც ჰზრუნავს და, როგორც ჰხედავთ, სწორედ იმიტომა ვარ გამოგზავნილი, რომ ადგილობრივვე შევისწავლო პირობანი აღმოსავლეთის ბაზრების დამორჩილებისა. კავკასიის ნახვამ დიდი იმედი მომცა ზემოხსენებულის სურვილის განხორციელებისა, თუმცა ამასთან ეჭვი არა მაქვს, რომ კავკასიას, რუსეთისა და აღმოსავლეთის დაახლოვების გარდა, თავისი საკუთარი, დიდი მნიშვნელობაც აქვს. დიდის სიამოვნებით ვსვამ ამ რუსეთის გვირგვინის უძვირფასის მარგალიტის სადღეგრძელოს და ვისურვებ მისს აღყვავებას, ვსვამ სადღეგრძელოს კავკასიისას, მისის დიდის მნიშვნელობისას, ვსვამ სადღეგრძელოს ამიერ-კავკასიისას, რომელიც არის ნაწილი მთლიანის ქვეყნისა.

მერე მინისტრმავე ინება დღეგრძელება აქაურ სავაჭრო-სამრეწველო წოდებისა, რომელმაც თავისი უნარი მოღვაწეობისა არა ერთხელ დაგვიმტკიცაო. ამას მოჰყვა მინისტრის მიერვე თქმული სადღეგრძელო:

„მოწყალენო ხელმწიფენო! ჩემს თავს ნებას მივცემ, კიდევ ერთი სადღეგრძელო წარმოვსთქვა, სასიამოვნო ჩემთვისაც და, ვგონებ, ყველა აქ მყოფთათვისაც. მე მინდა დავლიო სადღეგრძელო საქართველოს თავად-აზნაურობისა, რომელსაც თხუთმეტის საუკუნის განმავლობაში მტკიცედ უღვივოდა გრძნობა მამულის სიყვარულისა და სარწმუნოებისა, ის გრძნობა, რომელიც ამ წოდების რუსეთთან შეკავშირებას ესაფუძვლა. არას ვიტყვი საქართველოს თავად-აზნაურობის ღვაწლსა და ქველობაზედ და იმის შესახებ, თუ რა სამსახური მიუძღვის ამ წოდებას რუსეთის წინაშე. ამის აქ აღნიშვნა შეუძლებელიც არის და ყველასაც კარგად მოეხსენება ვიტყვი მხოლოდ, რომ ვსვამ სადღეგრძელოს საქართველოს თავად-აზნაურობისას და იმის წინამძღოლის, თავ. ბაგრატიონისას, რომლის სახელიაც განსაკუთრებით ძვირფასი: „ბაგრატიონის“ დიდებულის სახელის მოგონებით რუსეთი იგონებს არა მარტო ამიერ-კავკასიის მასახელებელსა და მცველს, არამედ მთელის რუსეთისასაც“.

ამ სადღეგრძელოს პასუხად, რომელსაც განუწყვეტელი ვაშა მოჰყვა, თავად-აზნაურობის წინამძღოლმა თ. ი. გ. ბაგრატიონ მუხრან-ბატონმა ჰბრძანა:

„თქვენო მაღალ-აღმატებულებავ! ნება მომეცით, დიდი მადლობა გადაგიხადოთ მაგ დღეგრძელობისათვის საქართველოს თავად-აზნაურობის მაგიერ, იმ თავად-აზნაურობისა, რომელიც აქ თქვენის დახვედრის სიამოვნებას მოაკლდა, რადგან ამ ჟამად სოფლებშია გაბნეული და თავის ვენახებსა და მიწებს უვლის. მადლობას გიხდით როგორც წარმომადგენელი ამ თავად-აზნაურობისა და ვსვამ ამასთანავე თქვენს სადღეგრძელოსაც.

(დასასრული ხვალ)

## რუსეთი

სამკურნალო დეპარტამენტი შინაგან საქმეთა სამინისტროსი ამ ჟამად სანიტარულ ღონისძიებათა პროექტს ადგენს რუსეთის ქალაქებსა და სოფლებში შემოსაღებად. პირველ ღონისძიებად ამ შემთხვევაში დეპარტამენტს ის მიაჩნია, რომ რაც შეიძლება მეტი სასანიტარო შინაარსიანი წიგნაკები გაავრცელოს ხალხში ადვილად გასაგებ და მარტივის ენით დაწერილი. დიდს ქალაქებში შემოღებული იქნება სასანიტარო დავთრები, რომელშიაც მდგმურებმა უნდა ჩასწერონ ხოლმე საჩივარი, თუ იმათი სახლის პატრონი რიგიანად არ შეინახავს თავის სახლსა და არ შეასრულებს ყველაფერს, რასაც სასანიტარო კანონი უწერს. დრო გამოშვებით სასანიტარო კომისიის წევრები დაივლიან სახლებსა, გასინჯავენ ამ დავთრებსა და დამნაშავე სახლის პატრონს პასუხის გებაში მისცემენ. სასანიტარო კომისიის წევრების მაგიერ ზოგჯერ თვით შინაგან საქმეთა მინისტრი დანიშნავს ხოლმე საგანგებო რევიზორებს ამ დავთრების დასათვალიერებლად.

— პეტერბურგში აარსებენ „შეუძლებელ მშობიარე დედათა დამხმარებელ საზოგადოებას“. მთელს რუსეთში ეს პირველი საზოგადოებაა, რომლის წევრებადაც მხოლოდ ქალებს შეუძლიანთ ჩაეწერნონ.

— სამკურნალო დეპარტამენტი შინაგან საქმეთა სამინისტროსი ახალს კანონს ამზადებს ფერშლების მოქმედების შესაფერხებლად ქალაქებსა და დიდს სოფლებში. დეპარტამენტმა შეკრებილის ცნობებიდგან სცნა, რომ იმ ადგილებშიაც-კი, სადაც მკურნალები საკმაოდ არიან, მომეტებულ ნაწილად უფრო ფერშლები სწამლობენ ავადმყოფებს, ვიდრე თვით მკურნალებიო. ამიტომაც ჰსურს, ისეთი კანონები შეიმუშაოს, რომ ფერშლების მოქმედებას ხელი შეუშალოს და საქმის ზედმიწევნით მცოდნე მკურნალებს-კი გზა გაუხსნას.

— კიევში დაუარსებიათ ერთი საქველ-მოქმედო საზოგადოება, რომელსაც ეწოდება დახმარება შეუძლებელთათვის. ამ საზოგადოებას საგნად ისა აქვს, რომ შეუძლებელს ოჯახებს შემწეობა-რამ მისცემს და უადგილოდ დარჩენილებს საქმე გაუჩინოს. თუ უადგილოდ დარჩენილი კაცი განათლებულია, საზოგადოება სცდილობს, კანტორაში სადმე უშოვნოს ადგილი და თუ გაუნათლებელია, მაშინ ზოგს გემებზე ჰგზავნის სამუშაოდ და ზოგსაც სხვა რაიმე ამ გვარს საქმეზე. ამასთანავე საზოგადოებას გამსესხებელი კასსა აქვს გამართული და ძლიერ იაფის სარგებლით უმართავს ხელს გაჭირებულებს და იგირავებს ყოველს გვარს სახლის ავეჯეულობას. ეს ავეჯეულობა ძლიერ დიდხანს ინახება გაუყიდავი და პატრონს, როცა უნდა, შეუძლიან დაიხსნას. თუ მაინცა და მაინც არ მოინდომებს დახსნას, მაშინ საჯაროდ გაიყიდება და ვალს ზევით რაც ფული დარჩება, პატრონს დაუბრუნდება. თუ პატრონი მოკვდა და არც მემკვიდრე გამოჩნდა, დასაბრუნებელი ფული საზოგადოებას რჩება.

— ქალაქ ფსკოვში გაიმართა გამოფენა ხილეულობისა. მონაწილეობა ამ გამოფენაში 60 კაცმა მიიღო. ვაშლი 197 ნაირი არის გამოფენილი. ზოგი ამ ვაშლებში იმოდენაა, რომ გირვანქაზე მეტს იწონს. 86 ნიმუში ვაშლისა, რომელსაც გამოფენაზე სახელი ვერ დაარქვეს, მოსკოვში პროფესორს გრელს გაუგზავნეს გამოსაცნობად. 26 ექსპონენტმა საჩუქარი მიიღო ვაშლისა და მსხლის უკეთეს კოლლექციებისათვის.

— ოდესის პოლიციას მთელ ბრბოსათვის მიუგნია, რომელიც ყალბ ქაღალდის ფულსა სჭრიდა თურმე. ერთი კაცი უკვე შეუპყრია და სხვებსაც დაეძებს. ბევრი ამ ავაზაკთაგანი, როგორც ხმა ისმის, ჟიტომირსა და ბერდიჩევში იმალება თურმე. ეს ბრბო ძლიერ დიდი ბრბო ყოფილა და თავის აგენტები თითქმის რუსეთის ყველა დიდს ქალაქში ჰყოლია.

## წვრილი ამბები

ამერიკის სახელმწიფო გავაში არეულობა მოხდა. მეამბოხენი დაეცნენ მეფის სასახლეს, შეცვივდნენ ერთს ოთახში, სადაც მეფე კოლაკაუა ამ დროს ვალსს თამაშობდა და ტყვედ წაიყვანეს. კოლაკაუამ ვალსის თამაშობა 1881 წელს ისწავლა ვენაში, სადაც რამდენიმე ხანი დაჰყო და ვენის საზოგადოების ყურადღება და პატივის-ცემა დაიმსახურა თავისის მხიარულის ხასიათით.

— ინგლისის ერთს გაზეთში შემდეგი ამბავია მოთხრობილი, ზულუსების ქვეყანაში მომხდარი. ერთს თავადს ზულუსს ცოლი გაჰხდომია ავად და მკურნალად ადგილობრივი მკითხავი მოუწვევია. მკითხავს უთქვამს, რომ შენს ცოლს კაცის გულზე ანაჭერი ქონი არგებსო. თავადს ბევრი აღარ დაუხანებია, წაუქცევია თითონ მკითხავი, დაუკლავს და იმის გულზე ანაჭერი ქონი მიუცია ცოლისათვის წამლად. გაზეთში ის-კი აღარ არის მოხსენებული მოურჩა თუ არა ზულუსს ცოლი.

— ინდიანის შტატში სოფელ გალდრანის მახლობლად ვოლკანის ძალამ მიწა ამოხეთქა მდინარის პირად, სადაც სასაფლაო იმყოფებოდა. ამ მოვლენამ შიშის ზარი დასცა მახლობელ სოფლების მცხოვრებლებს; სასაფლაო მთლად გადმოაბრუნა და მკვდრები ზეზე ამოყარა.

— ბრაზილიის ქალაქ ბახიაში არეულობა მოხდა შიმშილის გამო. საშინელმა გვალვამ სულ ერთიან გახმო და მოაცდინა ნათესები, გარდა იმ ადგილებისა, რომელიც ზღვის პირად მდებარეობს. ხალხი სულ უსაზრდოვოდ დარჩა და ავაზაკობას მიჰყო ხელი. მთელი ბრბონი დაეცემიან ხოლმე ზღვის პირის სოფლებს და სძარცვავენ და აოხრებენ. საშინელი სისხლის ღვრა და რბევა არის. გაშმაგებული ხალხი შეუბრალებლად ანგრევს და სწვავს სახლებს. მთავრობამ ჯარი მიაშველა ზღვის პირის ქალაქებს, მაგრამ ჯარი საკმარისი არ არის და თვით ქალაქებსაც თავისი ყარაული დღე და ღამ შეიარაღებული ჰყავს უბედურების ასაცილებლად. რიო-ჟანეიროდგან რამდენიმე გემი სანოვაგე გაგზავნეს ხალხისთვის.

— ნიუ-იორკის ქალაქის გამგეობამ განკარგულება მისცა პოლიციას, სასტიკად ადევნე თვალყური, რომ 16 წლისაზე პატარებმა თამბაქო არა სწიონო და ამ საგანზე მთავრობის მიერ გამოცემული კანონი სასტიკად იყოს დაცული. ბავშვებს აეკრძალებათ თამბაქოს წევა ქუჩებში და ყველა იმ სახლებში, სადაც საზოგადოება იკრიბება, ან თეატრია და ან კიდევ სხვა ამ ნაირი რამე დაწესებულება. ამ წესდებამ 1 სექტემბრიდგან დაიწყო მოქმედება.

— იტალიის მთავრობა სასტიკ ღონის ძიებას ხმარობს, რომ როგორმე ადაგმოს ყაჩაღები, რომლებმაც მთელი იტალია აიკლეს. სხვა-და-სხვა ადგილას ჯარია გაგზავნილი ავაზაკების დასაჭერად. სხვათა შორის ვიტერბოსა და სპოლეტოში ოთხი ბატალიონია ჩაყენებული, რადგამ ამ ადგილებში ბუდობს ბროები გამოჩენილ ყაჩაღებისა: ტრანუცისისა, ანსუინისა და ბრინცინისა. იტალიის ზოგიერთს ადგილებში მცხოვრებლებმა აღარ იციან, რა ქნან, ისე არიან შეწუხებული ყაჩაღებისაგან. ზედ შუადღისას უხვდებიან და სძარცვავენ ხალხსა ეს ავაზაკები. ამას წინად უმბრიაში ყაჩაღები კაპუცინების მონასტერს დაეცნენ დღისით და სამი ბერი მოჰკლეს. ქალაქ ნეაპოლშიაც დღისით 11 სახლი გაძარცვეს. გენუაში ერთს ბანკის კანტორაში დღისითვე შებრძანდნენ ყაჩაღები და სულ ერთიან გაალაგეს, რაცკი რამ მოახელეს, კანტორის მოსამსახურეებიკი შეკრეს და ისე დასტოვეს.

# დეპეშა

1 სექტემბერი

პეტერბურგი. იმ დეპეშაში, რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა მოსკოვის გენერალ-გუბერნატორს მილოცვის პასუხად გაუგზავნა, სხვათა შორის ნათქვამია: „ვხედავ, რომ ის გრძნობა, რომელიც მოსკოველებს გულში გიღვივით, მთელის რუსეთის გრძნობა არის.“

როვნო. გუშინ ხელმწიფე იმპერატორის თანდასწრებით ალლუმი იყო. ჯარი იერიშით მივიდა როვნოზე. მათი უდიდებულესობა მაღლობ ადგილიდგან უცქეროდა მოხდენილს იერიშს ცხენოსან ჯარისას. ხელმწიფე იმპერატორმა შემოუარა გენერალ დრაგომიროვის ჯარსა და სალამი მისცა. როდესაც მთელი კორპუსი მომგერ ჯარისა გაშლილის დროშებით და მუსიკით დაეცა იერიშით მოსულს მტერს, ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით ნიშანი მისცეს უკან დაბრუნებისა. ალლუმის გათავების შემდეგ ხელმწიფე იმპერატორის საუზმეზე მოწვეულ იყვნენ უფროსები, ამალის წევრნი და აფიცრები.

2 სექტემბერი

როვნო. დღეს ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა ვოლინისა და ლიუბლინის ჯარი. თვით ხელმწიფე იმპერატორი ცხენით ბრძანდებოდა, ხოლო ხელმწიფე იმპერატრიცა დიდის მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულითურთ ეტლით; თან ამალა მისდევდა და ისე შემოუარეს ჯარსა. ყოველსავე ნაწილს ჯარისას ცალკ-ცალკე მიესალმა ხელმწიფე იმპერატორი. ჯარის დათვალიერება ნაშუადღევის სამს საათზე გათავდა და შემდეგ მათი უდიდებულესობანი სპალაში წაბრძანდნენ.

ბაქო. აქ მობრძანდა ფინანსთა მინისტრი.

2 სექტემბერი

როვნო. გუშინ მათ უდიდებულესობათა და მათ უმაღლესობათა ინახულეს პოჩაევის ლავრა. გზა დაფენილი იყო ყვავილებითა და მორთული კამარა შეკრულ გასავალ კარებითა. გლეხებმა მიართვეს პურ-მარილი. მათ უდიდებულესობათა დაათვალიერეს მონასტერი, პირჯვარი დაიწერეს და შემდეგ ისაუზმეს ყოვლად უსამღვდელოესის სახლში, საუზმის დროს მათ უდიდებულესობათა თავს ადგნენ და ემსახურებოდნენ უფროსნი მღვდელ-მონაზონნი.

ტაშკენტი. პირველი ადგილი გამოფენისა უჭირავს სამხედრო-საისტორიო განყოფილებას, სადაც დიდი ქანდაკება სდგას ჯარის-კაცისა, რომელიც ამაგრებს დანგრეულ ციხის კედელზე რუსეთის დროშას. ამ განყოფილების გარშემო ირგვლივ სდგას ფარდულები: მთა-მადნისა, სამეცნიერო, რკინის-გზისა, ბაღოსნობისა, ბოსტნეულობისა, ღვინის კეთებისა, თევზეულობისა, ნადირობისა, ტყეთა, ციხე-საპატიმროთა, აბრეშუმეულობისა. კერძო ექსპონენტების მიერ 15 ფარდულია დადგმული, საყოველთაო ყურადღება აქვს მიქცეული დიდ განყოფილებას ხვნა-თესვისას და შინად ნაკეთების ნივთებისას. აქვე ყვავილებ შუა ამართულია დიდი კოშკი ბამბის ტომრებისა. აბრეშუმეულობის ფარდულში ექსპონენტს ტრენერ-ალოიზას აქვს დადგმული აბრეშუმის პარკების კოშკი, რომელიც ნამდვილი ასლია ბუხარის დიდის მინარეთისა. ხვნა-თესვისა ანუ სამეურნეო განყოფილებას არტყია პლანტაციები ბამბისა, ბრინჯისა, თუთუნისა და სხვა მცენარეთა, რომელიც-კი მოდის თურქესტანში. ბუხარელებმა და ხიველებმა თავიანთი ნაწარმოები თავიანთებურ კარვებში დაალაგეს. ყირღიზებმა და ყარაკოლპაკებმა მოიტანეს თავიანთი ჩარდახიანი ურმები. გამოფენილია, როგორ ნადირობენ მიმინოთი. საქონლის განყოფილებაში შესანიშნავია ის საქონელი, რომელიც ჩამოსულა ჰოლანდიისა და ადგილობრივის ჯიშის შერევნის გამო. ბევრია მშვენიერი ცხენები. გუშინ გამოფენა განათებული იყო ელექტრონის ფარნებით.

პეტერბურგის ბირჟა, 31 აგვისტო.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ | მან. კ | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | — „ | 6 30 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | 126 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 11 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 227 |
| —მეორისა | — „ | — „ | 217 3/4 |
| —მესამისა | 122 1/2 | — „ | 210 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 100 1/4 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | 100 | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | 89 1/2 |

## განცხადებანი


სათავად-აზნაურო თეატრი.

სამშაბათს, 4 სექტემბერს,

მეორე წარმოდგენას გაჰმართავს

ჯუჯა და ქონდრის კაცების დასი.

წარმოდგენილი იქნება

ჯადოსანი რუსი (მოსკალი)

ვოდევილი 1 მოქმედებად კოტლიარევსკისა და

დივერტისმენტი,

რომელშიაც იმღერებენ, იცეკვავენ და ბალეტს გაჰმართავენ.

სიმაღლით არტისტები 18 გოჯიდგანაც არიან დაწყებულნი. ჩვენს ქალაქში მხოლოდ 5 წარმოდგენას ჰმართავენ.


ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ გამგეობის სადგურში ყოველ დღე დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე მსურველთ შეუძლიანთ, გასინჯონ სიები ამომრჩეველთა მომავლის ოთხის წლისა 1891—1894 წლამდე. ვინც ამ სიებში კანონიერად არ არის ჩაწერილი ან სრულიად არ არის ჩადებული სიაში, შეუძლიან საჩივარი წარუდგინონ გამგეობას 21 სექტემბრამდე. ეს საჩივრები ქალაქის საბჭოში იქნებიან განხილული.

(3—1)

ტფილისის ქალაქის მილის წყლის გამგეობისაგან. ქალაქის მილის წყლის კანტორა უმორჩილესად სთხოვს ტფილისის ყველა მცხოვრებთ, თვალყური ადევნონ ქალაქის წყლის მილებს და თუ სადმე უწესოება შენიშნონ, მაშინვე პირდაპირ კანტორას აცნობონ. ამ გვარის ფხიზლობით მრავალი ნაკლი ასცდება წყლის მილსა და იმის გამგებელნიც მოისვენებენ გაზეთებში ტყუილ-უბრალოდ გამოცხადებულ საჩივრისა და საყვედურისაგან. (1—1)


სილამაზე და სინაზე სახისა

არქის კრემი

კოსმეტიკა ა. ენგლუნდისა

ეს საშუალება სპობს ჭორფლს, პირის სიყვითლესა და ლაქას, მეწყერს, ჭმუხნებს, ლუდლუდოს და სხ. პირი-სახეს ულამაზებს და უჭაბუკებს ადამიანს. თითო ბანკა ღირს 1 მან., გაგზავნით 2 მან., ორი ბანკა გაგზავნით 3 მან.

სიყალბის ასაცილებლად მყიდველებს ვსთხოვთ ყოველს ბანკაზედ გასინჯონ, რომ ეტიკეტს წითელის მელნით ჰქონდეს ხელ-მოწერილი ა. ენგლუნდი და ზედ მარკა ეკრას სპბ. საკოსმეტიკო ლაბორატორიისა. უმთავრესი საწყობი იმყოფება ს.-პეტერბურგს, სპბ. საკოსმეტიკო ლაბორატორიაში, ა. ენგლუნდთან, ლიტეინის ქუჩაზედ, 32. (5—3)

სიჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(40—17)

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

კბილი ავადმყოფობა ნამდვილი ჭეშმარიტებაა...

# კბილი ალარაპის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთა გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ



და ოქროს მენდლებით დაჯილდოვებული ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.

ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ვნახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მ ვაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106.

(208—41)




ტფილისის გამოფენის




ვერცხლის.




ოქროს.

# ЗАВОДЪ

## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ

# А. А. ТУТАЕВА

Принимаются **постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ, мостовъ, тумбъ и будокъ** на шоссейныхъ дорогахъ. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія, масляныя и сухія **краски, кисти, масла** и проч. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже солдатскаго базара.

ვყიდი ყოველნაირს ლიტო-ტიპოგრაფიის და ზეთით გალესილს და მშრალს კრასკებს, ზეთს, კისტებს და სხ. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (Ремонтъ) და შეღებვას ხრეშ დაყრილ გზებზე ხიდებისას, ბუდკებისას და ბოძებისას. შემიძლიან გავგზავნო კრასკები ყველგან, მოთხოვნილობისამებრ. ქარხანა მაქვს იარმუკაზე, საეკკლესიო დუქნებში.

ა. თუთაევი

24—17

ოქროს




თამბაქოს ფაბრიკა

მედალი



# ნ. ი. ბოზარჯიანცისა

ტფილისში

მაქვს ბ-ნთ მოყვარულთათვის საუკეთესო თამბაქო და პაპიროსი ჩემის ფაბრიკისა, რომელშიაც დიდ-ძალის ოსმალეთისა და ადგილობრივ მოსულს საუცხოვო თამბაქოს თავდარიგია დაჭერილი. შემონაკვეთს მუშტრის გემოვნებაზედ და სწრაფად ვამზადებ. ჩემს მაღაზიაში ბევრი იპოვება საუკეთესო მოწყობილობა და მასალა თამბაქოს ხმარებისა. უცხო-ქვეყნელთა შემონაკვეთს დაუყოვნებლად ვასრულებთ. ფაბრიკის უმთავრესი მაღაზია იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ მამულო ბანკის, არწრუნისეულს სახლში.

(25—11)


Доз. цен. Тифлисъ, 3-го Сентября 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Меликов. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.